მასწავლებელთა მოსაზრებით, როგორ არის შესაძლებელი ცნებათა სწავლების და მეტყველების განვითარების ხელშეწყობა სკოლამდელი და დაწყებითი სასკოლო ასაკის მცირემხედველ და უსინათლო ბავშვებში

მაია ბარბაქაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა - სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ჟანა კვაჭაძე - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი, სპეციალური განათლების მაგისტრი, მასწავლებელთა სახლის ინკლუზიური განათლების ექსპერტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის საგანი იყო მასწავლებელთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, მოსწავლეებში ცნებების ჩამოყალიბება და მეტყველების განვითარება. მოცემულია კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ საჯარო სკოლები და ბაღები. კვლევის მიზანი იყო, აღმოგვეჩინა ის ძირითადი მიმართებები და მეთოდები, რაც ხელს შეუწყობდა ამ ტიპის ბავშვების სწავლა-სწავლების პროცესს. კვლევის მეთოდოლოგიად განისაზღვრა თვისობრივი კვლევა. ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ და მოხდა ქეისების შესწავლა. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა რიგი პრობლემები უსინათლო და მცირემხედველი ბავშვების სწავლებისას. კერძოდ, საბავშვო ბაღები არ იყენებენ რაიმე სპეციფიურ მიდგომას უსინათლო ბავშვების სწავლების პროცესში, ხოლო სკოლებში კი საპირისპიროდ, აქტიურად მიმდინარეობს ცნებების ჩამოყალიბებასა და მეტყველების განვატებაზე მუშაობა. უპირველესად კვლევა დავიწყე ბავშვის განვითარების საფუძვლებიდან და აქედან გამომდინარე საჭირო გახდა უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეების როგორც სკოლის, ასევე ბაღის პედაგოგებიდან ინტერვიუს აღება. კვლევამ გამოავლინა , განსხვავებული შედეგები სკოლასა და ბაღს შორის, ასევე სწავლა-სწავლების ხარისხში უსინათლო და მცირემხედველი ბავშვისათვის ცნებების ჩამოყალიბებისა და მეტყველების განვითარების პროცესში. კვლევის შედეგების გათვალისწინებით გაწერილი რეკომენდაციები ვფიქრობ დაეხმარება მცირემხედველი და უსინათლო ბავშვბეის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულ ნებისმიერ ინდივიდს.

მადლობა

ჟანა კვაჭაძეს, სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომლის რჩევები და მოსაზრებები ყოველთვის გონივრული და მნიშვნელოვანი იყო.

თამარ საღინაძეს, საბავშვო ბაღების მულტიდისციპლინარული გუნდის წევრს, რომელიც დამეხმარა მცირემხედველი ბაღების მოძიებაში.

ეთერ დათუაშვილს, სსიპ # 203 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგს, რომელიც უზრუნველყოფდა მასწავლებლების მოძიებას ინტერვიუირებისათვის.

ნინო გიგიჩაძეს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების კოორდინატორს, კვლევის პირველი ნაწილის რეკომენდაციებისათვის.

ეკატერინე მიქაუტაძეს, ილიას უნივერსიტეტის ხარისხის განვიტარების ცენტრის თანამშრომეს, საკვლევი სკოლების მოძიებისა და დაკავშირებისათვის.

ყველა იმ რესპოდენტსა და სკოლას, რომელიც დამტანხმდა და მონაწილეობა მიიღო კვლევის წარმატებით განხორციელებაში.